



საქართველო

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია

GEORGIA

MARNEULI MUNICIPALITY CITY HALL



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ.მარნეული

N 593
27/03/2019

593-03-4-201903271645



<https://edocument.ge/KvemoKartli/public/#/>

კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე, 37-ე, 41-ე მუხლის მე-4 პუნქტის და 126¹-ე მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 54-ე და 55-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 56-ე მუხლის პირველი ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ №204 დადგენილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ


1. გამოცხადდეს, თანდართული დოკუმენტის სახით განსაზღვრული მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად, ღია კონკურსი 2019 წლის 28 მარტიდან.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადის წარსადგენად დადგინდეს, კონკურსის გამოცხადების დღიდან 10 კალენდარული დღის ვადა.
3. დაინიშნოს ამ ბრძანების პირველი პუნქტით გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი ნინო დეკანოიძე.
4. დაევალოს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს უზრუნველყოს ამ ბრძანებით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება.
5. დაევალოს ადმინისტრაციულ სამსახურის იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებას უზრუნველყოს გამოცხადებული კონკურსის ორგანიზებულად ჩატარება.
6. დაევალოს ადმინისტრაციულ სამსახურს უზრუნველყოს აღნიშნული ბრძანების განსაზღვრული ღონისძიებების საჯაროდ გაცნობის მიზნით, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში ხელმისაწვდომ ადგილას განთავსების და მუნიციპალიტეტის მიერ ადმინისტრირებულ ვებ-გვერდზე (www.marneuli.gov.ge) გამოქვეყნების მიზნით სათანადო ღონისძიებები.
7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მერის მოადგილეს ლაშა ლობჯანიძეს.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოში (მის: ქ. ბოლნისი, სულხან-საბას ქუჩა #113), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

9. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

დანართი: 1 (ერთი) ფურცელი;

ზაური ტაბატაძე



მუნიციპალიტეტის მერი - მ.შ.

ხელმძღვანელობა

